პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1980 წელი შაბათი 5 აპრილი № 80 (17723) ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

შრომითი რესურსები

ვიმუშაოთ დამკვრელურად!

ასპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მიერ აღებული კურსი, რომელიც ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მრეწველობის თანაბარ განლაგებას ითვალისწინებს, უდიდეს როლს ასრულებს მთელი რიგი რეგიონების ეკონომიკურ-სოციალური განვითარების საქმეში. სწორედ ამ კურსის შედეგია, რომ წინათ ზოგიერთ არცთუ ადვილად მისადგომ რეგიონებში აშენდა ათობით ქალაქი და ქალაქის ტიპის დასახლებული პუნქტები, სამრეწველო საწარმოთა კომპლექსები, გაუვანილია რკინიგზები და საავტომობილო გზები, გაიხსნა საჰაერო მიმოსვლა.

ამ კურსის სიკეთე საკმაოდ იგრძნობა ჩვენს რესპუბლიკაშიც. საქართველოს ტერიტორიაზე უკანასკნელი 20 წლის მანძილზე აიგო დიდმწარმოებლური ტექნიკით აღჭურვილი მრავალი მანქანათსაშენებელი, ელექტროტექნიკური და მსუბუქი მრეწველობის საწარმო, სადაც სამუშაოდ მოვიდნენ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისა და საშუალო სკოლების კურსდამთავრებული ახალგაზრდები, და რაც მთავარია, საწარმოების ახლო-მახლო მდებარე ათასობით სოფლის მცხოვრებლებმაც მიაშურეს.

დღეს პრაქტიკულად არ მოიძებნება მრეწველობის ისეთი დარგი, საქართველოში რომ არ არსებობდეს. მაგალითად, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, რომელიც არცთუ ისე დიდი ხნის წინათ წმინდა სასოფლო-სამეურნეო რეგიონი იყო, დღეს ქვეყნის მეტალურგიულ, ქვანახშირის მომპოვებელ, ქიმიის, მანქანათსაშენებელ და მრეწველობის სხვა დარგებს 30-ზე მეტი სახეობის უნიკალურ ელექტროვიბრაციულ მანქანებს აწვდის, ამავე ოლქში მზადდება ახლა მომძინანქრებული სადენები, ამწეები ჯიხურები და სხვა პროდუქცია. ზესტაფონში ამზადებენ კაბელებს, ახალციხეში — ელექტრომძრავებს, ზორაკარში — ელექტროელემენტებს, ფოთში — ელექტროაპარატურას, ხაშურში — სატრიკოტაჟო-საგალანტერეო საწარმს და სხვა. დიახ, სწორედ ძირითადად სოფლის მეურნეობიდან მოვიდნენ თავის დროზე ისინი, ვინც ამ პროდუქციას ქმნის და რთულ ტექნიკასაც შესანიშნავად ფლობს.

უკანასკნელი ხუთი-შვიდი წლის მანძილზე რესპუბლიკის მრეწველობაში ერთი მეტად მისასალმებელი სიახლე დამკვიდრდა: ბევრი საწარმოო გაერთიანება და საწარმო პროდუქციის გამოშვებას გადიდების გამო ფილიალების ორგანიზაციის ხარჯზე ფართოვდება, რომლებსაც ქმნიან რესპუბლიკის სხვადასხვა დასახლებულ პუნქტში, მათ შორის მთიან რაიონებშიც, ადგილობრივი შრომითი რესურსების გათვალისწინებით. ასობით კაცი შრომობს ახლა, მაგალითად, თბილისის „ჩარხმშენებელის“ საწარმოო გაერთიანების და თბილისის საინსტრუმენტო ქარხნის ფილიალებში, რომლებიც წალკაში და თეთრ წყაროში ამოქმედდა.

ყველამ იცის, თუ რა დიდია ქალთა წვლილი ჩვენი ქვეყნის და, კერძოდ, საქართველოს სახალხო მეურნეობის აღმავლობაში. სწორედ ქალთა აბსოლუტური უმრავლესობა შრომობს დღეს რესპუბლიკის საფეიქრო და მცირელითონტეავად საწარმოებში. პროდუქციის გამოშვების ზრდისა და ქალთა დასაქმების მიზნით, მანქანათსაშენებელი და ელექტროტექნიკური მრეწველობის ქარხნების მსგავსად, სხვადასხვა რაიონებში თავიანთ ფილიალებს მსუბუქი მრეწველობის საწარმოებიც აყალიბებენ. გორის ბამბეულის გაერთიანებამ, მაგალითად, ფილიალებს ორჯონიკიძისა და გორის რაიონების სოფლებში ბორითში და ატენში დაუდო ბინები. ამავე გაერთიანების ფილიალის მშენებლობა წელს ახალციხეშიც დამთავრდება. ორი ფილიალი აქვს უკვე გატანილი თავის ფარგლებს გარეთ თბილისის საცვალ-ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანებასაც, მესამის მშენებლობას კი წელს ცხინვალში ამთავრებენ.

მსუბუქი მრეწველობის საწარმოების რაოდენობის გარკვეული ზრდის მიუხედავად, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში ჩაუბმელ ქალთა რიცხვი ჯერ კიდევ საკმაოდ დიდია. ამიტომაც ახლა სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლებს ხელი აქვთ გეგმის პროექტი, რომლის თანახმადაც ახლო მომავალში საჩხერეში, ბოლნისში, ტყვარჩელში, საგარეჯოში, ახალციხესა და ახალქალაქში ბამბის სართავი, ტრიკოტაჟის, უჭამოვი ფართლეულის, სამკერვალო და ფეხსაცმლის საკმაოდ დიდი სიმძლავრის ფაბრიკების მშენებლობას ვარაუდობენ.

ამ გეგმის პროექტის განხორციელების შემთხვევაში კიდევ ბევრი სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ეზიარება მუშათა პროფესიებს და ხელს შეუწყობს რესპუბლიკის ეკონომიკის პოტენციური შესაძლებლობის ზრდას. მაგრამ მთავარი მარტო ეს როდი გახლავთ. საწარმოში მოსული ადამიანი დიდხანს არ გაჩერდება ადგილზე, თუ მას მუშაობისა და ცხოვრების ნორმალური პირობებს არ შევუქმნით. საწარმოს წინაშე მდგომი ეკონომიკური და სოციალური პრობლემები ერთდროულად, პარალელურად უნდა გადაიჭრას.

ცხოვრებამ გვიჩვენა, პირველი მეორის გარეშე ამუხრუჭებს საქმის წინსვლას. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დამტკიცდეს საწარმოს პროექტი, თუ იქ გათვალისწინებული არ არის საცხოვრებელი ბინების, საყოფაცხოვრებო ობიექტების, საბავშვო დაწესებულებებისა და სპორტულ ნაგებობათა მშენებლობა. სხვაგვარად იმ სამეურნეო გაერთიანებებსა და საწარმოებს შორის აღმოვჩნდებით, რომლებიც ვერ აუდიან კადრების დენადობას და ამის გამო საწარმოო სიმძლავრეებს მაქსიმალურად ვერ იყენებენ, სამწუხაროდ, ასეთი საწარმოები არცთუ ისე ცოტაა და მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. მათ შესახებ საკმარისად ითქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმზე, საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებებზე 1979 წლის დეკემბერში და მიმდინარე წლის მარტში, როცა ჩვენს რესპუბლიკას ზედიზედ მეშვიდედ გადაეცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. რესპუბლიკისათვის ამ მაღალი ჯილდოს გადაცემის დროს, თავის გამოსვლაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგ ე. ა. შევარდნაძემ აღნიშნა, რომ ჩვენთან შრომითი რესურსების რაც შეიძლება სრული და რაციონალური გამოყენების პრობლემა ჯერ კიდევ მწვავედ დგას და ეს საქმე აუცილებლად უნდა მოგვარდეს.

ახლა შემოშავებულია მეცნიერულ-კვლევითი მიზნობრივი პროექტი. ეს გახლავთ რესპუბლიკისა და მისი რეგიონების კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგნოზი და გეგმა ხანგრძლივი პერსპექტივისათვის. პროგრამა ხელს შეუწყობს სახალხო მეურნეობის, და კერძოდ, მრეწველობის ტერიტორიული განლაგების სრულყოფას, მისი განვითარების დაჩქარებას ადგილობრივი შრომითი რესურსების მაქსიმალური გამოყენების საფუძველზე. აშენდება ახალი მანქანათსაშენებელი, ხელსაწყოთსაშენებელი, ელექტროტექნიკური და მრეწველობის ბევრი სხვა დარგის დიდი სიმძლავრის საწარმოები.

ცხადია, ამ საწარმოთა დაკომპლექტება კვალიფიციურ მუშათა გარდა სოფლის მეურნეობის დარგში დასაქმებულთა ხარჯზეც მოხდება. განა ხელს შეუშლის ეს სოფლის მეურნეობის წინსვლას? არავითარ შემთხვევაში. ამჟამად დამთავრებულია მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაში, მომსახურების სფეროს ზოგიერთი დარგში ხელის შრომის მექანიზაციის კომპლექსური პროგრამის შემუშავება. ამ მიმართულებით განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის ღონისძიებანი, რომლებიც სოფლის მეურნეობას ეხება. უახლოეს დროში 40 ათასამდე სოფლის მშრომელი გადავა მექანიზებულ შრომაზე, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ მუშაკთა 25 პროცენტი სხვა სამუშაოებისათვის მოიცლის. ეს ნამდვილი ტექნიკური ნახტომი იქნება სოფლის მეურნეობაში და დიდად შეუწყობს ხელს ჩვენი მუშათა კლასის ზრდას.

ეს პროგრამა, როგორც რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე აღინიშნა მიმდინარე წლის 6 მარტს, ეკონომიკური და სოციალური განვითარების მეთერთმეტე ხუთწლიდის გეგმის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი უნდა გახდეს და ყველა ჩვენი სამინისტროს, უწყების, საწარმოს და ორგანიზაციის სახელმძღვანელო დოკუმენტად გადაიქცეს. საზოგადოებრივი საწარმოების დაჩქარებული ზრდა და მისი ეფექტიანობის ამაღლება ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების კურსის მიზანმიმართული განხორციელების მტკიცე საფუძველი იქნება.

ამ გრანდიოზული პროგრამებით განვალისწინებული ღონისძიებანი მთლიანად შეესაბამება სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა საქართველო პირნათლად ეგებება XXVI ყრილობას.

ლენინური შაბათობა გვიხმობს

● **ჯუთაისი.** (საკ. კორ. დ. გელენიძე.). მინის ტარის ქარხნის კოლექტივი ორგანიზებულად შეუდგა მზადებას ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი კომუნისტური შაბათობისათვის.

19 აპრილს აქ 600-ზე მეტი მოშა-მოსამსახურე და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი 5 ათას მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქციას დამზადებს. აქედან 1.100 მანეთი ხუთწლედის ფონდში გადაირიცხება.

შაბათობის დღეს დიდი ყურადღება დაეთმობა ქარხნის ტერიტორიის კეთილმოწყობას, სპორტული მოედნების წესრიგში მოყვანას.

● **მახარაძე.** (საკ. კორ. ჩ. ბეჟანიძე). მახარაძის სასოფლო მშენებლობის № 13 მოძრავ-მექანიზებული კოლონის კოლექტივი (უფროსი — მ. ციტერაძე) მთელ რიგ ღონისძიებებს ახორციელებს ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, „წითელი შაბათობის“ ორგანიზებულად ჩატარებისათვის. სამშენებლო ბრიგადებსა და ცალკეულ მშენებლებს შორის გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება, რომლის მთავარი მიზანია შაბათობის დღეს იმუშაონ მხოლოდ დაზოგილი მასალითა და ელექტროენერგიით.

კომუნისტურ შაბათობაში მონაწილეობას მიიღებს 120 კაცი, გამომუშავებული თანხიდან 600 მანეთი ჩაირიცხება ხუთწლედის ფონდში.

● **ქედა.** (საკ. კორ. შ. გორგილაძე). ადგილობრივი მრეწველობის მოშა-მოსამსახურეებმა, რომლებმაც სოციალისტური შეჯიბრება გაშალეს ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, გადაწყვიტეს 4 თვის გეგმა 22 აპრილს შეასრულონ.

კომუნისტური შაბათობის დღეს — 19 აპრილს სამუშაოზე მთელი კოლექტივი გამოვა და გამომუშავებულ თანხას მთლიანად გადარიცხავენ ხუთწლედის ფონდში.

ქობულეთის რაიონის ჩაქვის ვ. ი. ლენინის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში გაჩაღებულია საგაზაფხულო სამუშაოები. მოწინავე მეურნეობის მეჩაიეები დადგნენ ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე და იკისრეს გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი.

სურათზე: ჩაის ბუჩქებს სხლავენ მოწინავე მეჩაიეები ოლგა ბლიშჩავენკო და ლარისა საკიანი.

✦✦

კარბი ტემპი აიღეს ხობელმა მშენებლებმა ხუთწლედის დამამთავრებელ წელს. გრაფიკის გასწრებით არის შესრულებული 1980 წლის ორი თვის გეგმა.

სურათებზე: ხობის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციის მოწინავე კომპლექსური ბრიგადის წევრები (მარცხნიდან მარჯვნივ) იანური ხარჩიმელია, მიხეილ სოსელია, რევაზ რუხია და ბრიგადირი ნოდარ გურგია; ხობის რაიონის საჯიჯაოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეღორეობის ფერმა.



რესპუბლიკა

შრომითს

ვახტზე

როგორ ამობრწყინდა მკერდზე ვარსკვლავი

სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული დიდი წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა „საგარეჯოელ მექანიზატორს ი. ალექსაშვილს. ვბეჭდავთ ნარკვევს გმირი მექანიზატორის შესახებ.

ივანე ალექსაშვილს ხსოვნაში სამუდამოდ დარჩება წლევანდელი 7 მარტი, როცა მას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

ბევრი სტუმარი ეწვია საგარეჯოში ივანე (ვალერიან) ალექსაშვილის ოჯახს. წარიალებდა ტელეფონის ზარი. ნათესავები, მეზობლები, მეგობრები, თანამოსაქმენი, რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები ივანეს ულოცავდნენ სამშობლოს მაღალ ჯილდოს, უსურვებდნენ ჯანმრთელობასა და ახალ შრომითს წარმატებებს. ისიც გულითადად ხვდებოდა თითოეულ მათგანს და უფრმეს მადლობას უხდიდა კეთილ სურვილებისათვის.

ყველაზე ღირსსასოვარ დეპეშას ხელს აწერდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე. ალნიშნა, რომ ჩვენთან შრომითი რესურსების რაც შეიძლება სრული და რაციონალური გამოყენების პრობლემა ჯერ კიდევ მწვავედ დგას და ეს საქმე აუცილებლად უნდა მოგვარდეს.

ახლა შემოშავებულია მეცნიერულ-კვლევითი მიზნობრივი პროექტი. ეს გახლავთ რესპუბლიკისა და მისი რეგიონების კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგნოზი და გეგმა ხანგრძლივი პერსპექტივისათვის. პროგრამა ხელს შეუწყობს სახალხო მეურნეობის, და კერძოდ, მრეწველობის ტერიტორიული განლაგების სრულყოფას, მისი განვითარების დაჩქარებას ადგილობრივი შრომითი რესურსების მაქსიმალური გამოყენების საფუძველზე. აშენდება ახალი მანქანათსაშენებელი, ხელსაწყოთსაშენებელი, ელექტროტექნიკური და მრეწველობის ბევრი სხვა დარგის დიდი სიმძლავრის საწარმოები.

ცხადია, ამ საწარმოთა დაკომპლექტება კვალიფიციურ მუშათა გარდა სოფლის მეურნეობის დარგში დასაქმებულთა ხარჯზეც მოხდება. განა ხელს შეუშლის ეს სოფლის მეურნეობის წინსვლას? არავითარ შემთხვევაში. ამჟამად დამთავრებულია მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაში, მომსახურების სფეროს ზოგიერთი დარგში ხელის შრომის მექანიზაციის კომპლექსური პროგრამის შემუშავება. ამ მიმართულებით განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის ღონისძიებანი, რომლებიც სოფლის მეურნეობას ეხება. უახლოეს დროში 40 ათასამდე სოფლის მშრომელი გადავა მექანიზებულ შრომაზე, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ მუშაკთა 25 პროცენტი სხვა სამუშაოებისათვის მოიცლის. ეს ნამდვილი ტექნიკური ნახტომი იქნება სოფლის მეურნეობაში და დიდად შეუწყობს ხელს ჩვენი მუშათა კლასის ზრდას.

ეს პროგრამა, როგორც რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე აღინიშნა მიმდინარე წლის 6 მარტს, ეკონომიკური და სოციალური განვითარების მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი უნდა გახდეს და ყველა ჩვენი სამინისტროს, უწყების, საწარმოს და ორგანიზაციის სახელმძღვანელო დოკუმენტად გადაიქცეს. საზოგადოებრივი საწარმოების დაჩქარებული ზრდა და მისი ეფექტიანობის ამაღლება ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების კურსის მიზანმიმართული განხორციელების მტკიცე საფუძველი იქნება.

ამ გრანდიოზული პროგრამებით განვალისწინებული ღონისძიებანი მთლიანად შეესაბამება სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა საქართველო პირნათლად ეგებება XXVI ყრილობას.

ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების რესპუბლიკური შტაბის სხდომა

საქართველოს ნებაყოფლობითს სახალხო რაზმეულებს შორის რომელია ყველაზე აქტიური, ყველაზე მებრძოლი? რომელმა მათგანმა შეძლო თავის სამოქმედო რაიონში დაემყარებინა სამაგალითო ზოგადოებრივი წესრიგი?

ამ და სხვა კითხვებზე გვიპასუხებს ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების ახლანდელი რესპუბლიკური დათვალიერება. მისი პირველი შედეგები განიხილეს სახალხო რაზმეულთა რესპუბლიკური შტაბის მორიგი სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ე. ჩერქეზიანი.

აქ აღინიშნა, რომ გასნაკუთრებით აქტიურად, საქმიანად მიმდინარეობს დათვალიერება აფხაზეთის ას რესპუბლიკაში, თბილისსა და ქუთაისში, აბაშს, ქობულეთის, გარდაბნის, სიღნაღისა და სხვა რაიონებში. ამასთან ერთად სხდომის მონაწილეები აღნიშნავდნენ, რომ საჭიროა რუსთავში, ჭიათურაში, ტყიბულში, ახალციხისა და სხვა რაიონებში გააძლიერონ დათვალიერების მოწყობასთან დაკავშირებული მუშაობა.

ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების მესამე რესპუბლიკური შეკრება გაიმართება მიმდინარე წლის 30 მაისს. აქ შეაჯამებენ დათვალიერების შედეგებს და გამოავლენენ გამარჯვებულებს. (საქინფორმი).

საუკეთესო რაზმეულს დათვალიერება გამოავლენს

საშეფო ხელშეკრულებით

თბილისს ქარხანა „გაზაპარატის“ ადმინისტრაციამ მადლობა გამოუცხადა მემონტაჟეთა ბრიგადის წევრებს, რომელსაც რეზო დემეტრაშვილი ხელმძღვანელობს და დაჯილდოვა ისინი სამახსოვრო საჩუქრებით. ბრიგადის მუშაკებმა განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი დუშეთის რაიონის სოფელ ხანდოს საშეფო კოლმეურნეობაში სამონტაჟო სამუშაოების შესრულებისას.

სოფლის მუშრომელებთან დადებული ხელშეკრულების მიხედვით თბილისელებმა დაამონტაჟეს პირტუტუის საკვებსარეგავები ბუნკერები და კონვეიერები, დაამთავრეს რძის გადასამუშავებელი საამქროს რეკონტი. შეფებმა ხანდოელებს გადასცეს 10 კუბური მეტრი ხეტყის მასალა, 10 ტონა ცემენტი, სახურავი რკინა და სხვა მასალა.

ქმედითს დახმარებას უწევენ ავრეთვე თიანეთის რაიონის ერწოს საბჭოთა მეურნეობას. მაგალითად, მარტო შარშან მათ გაუგზავნეს ქარხნის მუშაკების მიერ მოთიბული 15 ტონა თივა, მომინანქრებული ჭურჭელი, ფოლადის მილები.

ამავამად საშეფო კოლმეურნეობის რძის გადასამუშავებელ საამქროში დგამენ გაზწყალსახურებელს, რის მეშვეობითაც არსებითად შემცირდება დანაკარგები, გაიზრდება შრომის ნაყოფიერება.

(საქინფორმი).

კოსმონავტიკა დღეს და ხვალ

ვარსკვლავეთა ქალაქი (მოსკოვის ოლქი) (საკუთარი კორ.). **ყველაზე ადრე შეამჩნეს დღეს ი. ა. გაგარინის ძეგლი ცნობილმა მეცნიერებმა, სპეციალისტებმა, კოსმონავტებმა, სამამულო კოსმონავტიკის ვეტერანებმა. აქ ტრადიციისამებრ გაიხსნა გაგარინის კითხვები, რაც მეათეჯერ ეწყობა. კითხვები მიეძღვნა ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისა და ავიაციისა და კოსმონავტიკის საერთაშორისო დღეს. შესავალი სიტყვა წარმოთქვა აკადემიკოსმა ა. ი. ოზერნოიმ.**

გაიმართა. მოწინავე მექანიზატორი სიამაყით ლაპარაკობდა რესპუბლიკის მიერ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ზედიზედ მეშვიდედ გამარჯვების გამო გამოწვეულ საერთო სიხარულზე, ამ წარმატებაში. საგარეჯოს რაიონის მშრომელთა წვლილზე, რაც ზედიზედ რესპუბლიკური გარდამავალი წითელი დროშით აღინიშნა.

აქტივის კრების მონაწილეთა შორის გამოცოცხლება გამოიწვია ი. ალექსაშვილის გამოსვლის იმ ნაწილმა, რომელშიც მან გაიხსენა, იერონიანარევი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ზოგიერთი ხელმძღვანელი იმის გამო, რომ ისინი სათანადოდ არ ზრუნავენ საბჭოთა მეურნეობების მანქანა-იარაღებით, სათადარიგო ნაწილებითა და საკუნახე მასალით მომარაგებაზე.

— ამ ბოლო დროს, — თქვა მან, — ფარფორიგებიანი ვენახების გაშენება დაგვიგეალეს. ჩვენც დაეიწყეთ, მაგრამ რა გამოვიდა? ვინც დაგვიგეგმა, არც საჭირო სარ-ბოძი გეითვალისწინა, არც სათანადო მანქანა-იარაღები. ჰოდა, ვართ ასე, ველოდებით სასწაულს და გვიკვირს, რას ფიქრობდნენ ზემდგომი საეკურნეო ორგანოები, რატომ ყველაფერს თადარიგი არ დაიჭირეს?

დამიჯერეთ, არც ერთი კახელი გლეხი არ მოიქცეოდა ასე. პირადად მე საკარმიდამოზე ვიზი რომ გავაშენე, თელავში წავედი, ქვევრები ვიშოვე და მარანში ჩავყარე. აი, ჩემმა მეზობელმა და თანამოსაქმემ კოხტაანთ ვალოკომ კი, სანამ ცხენს იყიდდა, ნალები დაამზადებინა ზეკედელს. მაშ რა-ლა დაემართა ზოგიერთ ხელმძღვანელს?!

წლეულს ნამდვილი ზამთარი იყო გარეკახეთში. მიწას არც ტანი მოუკლია და არც მზის სხივი. ახლა კი მწვანედ ბიბინებს საშემოდგომო პურეული, საგაზაფხულო ხნულმა გადააშავა მინდვრები, ამოიწვერა ბალახი, კვირტი დაებერა ვაზს, მრავალფრად აფეთქდა ხეხილი. ტუფლი კაცი ფაქსელა ველად, ხეხილის ბაღებსა და ვენახებში. ყველას ერთი ფიქრი და გრძნობა ამოძრავებს — ყველაზე ახალი მიღწევებით გაამზარონ სამშობლო.

ივანე ალექსაშვილს ცხოვრების შუადღე დაფუდგა — ახლახან ოორმოცდაათი წელი შეესრულება, მაგრამ გული კვლავ ჭაბუკურად უცემს და შრომას მოწინავე ხაზზე დგას.

ბ. ზუკაკიშვილი.

„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ხახალხო კონტროლის კანონი მოქმედებს

მასებზე დაყრდნობით

ხახალხო კონტროლიორთა პროგრამა

მესამე წელია ცოცხლობს და მოქმედებს ახალი საბჭოთა კონსტიტუცია. დრო სულ უფრო მკაფიოდ გვიჩვენებს სოციალისტური დემოკრატიის უდიდეს შესაძლებლობებს. კონსტიტუციის დებულებები მოქალაქეთა უფლებების, თავისუფლებებისა და მოვალეობების შესახებ უზრუნველყოფს ყველა პირობას, რათა ფართო მასებმა მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივი და სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტაში.

სწორედ ამ იდეებს ემსახურება ქვეყნის ძირითადი კანონში პირველად ასახული მუხლი ხახალხო კონტროლის, მისი ორგანოების შექმნისა და საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესახებ.

სსრ კავშირის კონსტიტუციის, სკკპ XXV ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებების შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიაზე დამტკიცდა კანონი ხახალხო კონტროლის შესახებ, რომელიც ახალი დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი გახდა მისი განვითარების ისტორიაში.

ხელმძღვანელობს რა ლენინის მოძღვრებით, ჩვენი პარტია დღენიადაგ სრულყოფს სოციალისტურ კონტროლს, როგორც კომუნისტურ მშენებლობაში ფართო მასების ჩაბმის საშუალებას. კანონში განზოგადებულია მუშაობის მდიდარი გამოცდილება, რომელიც შეიძინეს საბჭოთა ხალხმა ფეოდალური ბატონყმობის, ბურჟუაზიული ბატონობის, ეროვნული ჩაგვრისა და ექსპლუატაციის ბოროტებათა აღმოფხვრის, ბრძოლა ეროვნული ეჭვიანობა-მტრობის, ეროვნული ბოროტებანი, ეროვნული ბოროტებანი, ეროვნული ბოროტებანი

საერთაშორისო ცხოვრება
ლენინის ჯუნგლებზე

მშრომელი ქალების კეთილდღეობისათვის

37 ათას ქალს შეუმსუბუქდა შრომის პირობები, 75 ათასმა მუშა ქალმა აიმაღლა საკვალიფიკაციო თანრიგი, 35 ათასზე მეტმა ითვისა მეორე პროფესიები. რესპუბლიკის ქალების მრეწველობის საწარმოთა 5.500 მშრომელმა ქალმა 1977-1979 წლებში დაისვენა სანატორიუმების, დასასვენებელი სახლებისა და პანსიონატების საგზურებით, ხოლო 6.800 ბავშვმა — პიონერთა ბანაკებში.

ეს ციფრები და ფაქტები მოწყვანილს საქართველოს პროფსაბჭოს ქალთა შორის მუშაობის რესპუბლიკური კომისიის სხდომაზე, რომელმაც განიხილა 1977-1979 წლებში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საწარმოებისა და ორგანიზაციების მომუშავე ქალების შრომის, ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების პირობების საკავშირო საზოგადოებრივი დათვალიერების მოწყობის შედეგები.

კომისიის სხდომა გახსნა მისმა თავმჯდომარემ, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა ზ. ა. კვაჭაძემ.

ინფორმაციი გააკეთა საქართველოს პროფსაბჭოს შრომის დაცვის განყოფილების გამგემ ი. ე. ვადოვმა. როგორც ინფორმაციაშია, ისე გამოსვლებში აღინიშნა, რომ მიუხედავად დათვალიერების დროს მიღწეული წარმატებებისა, მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების ქალაქიულ საწარმოებს და ორგანიზაციებში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებები და ხარვეზები შეიმჩნევა მშრომელი ქალების შრომისა და დასვენების, სამედიცინო, სანატორიულ-საკურორტო და საყოფაცხოვრებო მომსახურების პირობების გაუმჯობესებაში, მათი ზოგადი განათლების და პროფესიული დონის ამაღლებაში.

სხდომაზე წაიკითხეს საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ 1979 წელს მშრომელი ქალების შრომის, ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების პირობების საკავშირო საზოგადოებრივი დათვალიერებაში მიღწეული წარმატებებისათვის რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების კოლექტივების დიდ ჯგუფს მიენიჭა საქართველოს პროფსაბჭოს დიპლომები.

სხდომის მონაწილეებმა მოისმინეს ინფორმაცია თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის ქალთა შორის მუშაობის კომისიის საქმიანობის შესახებ და მოიწონეს მისი გამოცდილება.

ბაბა თქვენ იცით, ახალგაზრდებო!

8 აპრილს გაიმართა საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის კონფერენცია, რომელიც განიხილა საქართველოს რესპუბლიკის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის კინოფაკულტეტის ხუთი წლის მუშაობის შედეგები. და რესპუბლიკაში კინემატოგრაფისტთა კადრების მომზადების პერსპექტივები.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ ქართული ეკრანის ოსტატები, აგრეთვე მოსაზღვარი და ახალი სტუმრები.

— სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „შემოქმედ ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ“ ფართო ჰორიზონტებს უსახავს ახალგაზრდების ნიჭის ყოველმხრივ გაფურჩქვნას, — თქვა კონფერენციის გახსნისას საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა ე. შენგელაიამ — თაობათა ცვლას, შემოქმედების ცხოველყოფელ პროცესს ახლა განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ჩვენი კავშირის მუშაობაში.

კინოსტუდია „ქართული ფილმი“ წლების მანძილზე ბრწყინვალე შედეგებს იღებდა კინემატოგრაფიის სრულიად საკავშირო სახელმწიფო ინსტიტუტიდან, რომლის კურსდამთავრებულებმა თავიანთი ნამუშევრებით სახელი გაუთქვეს რესპუბლიკის კინემატოგრაფს.

კონფერენციაზე მოხსენება გააკეთა საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის რექტორმა, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა ე. გუგუშვილმა. შემოქმედ ახალგაზრდობასთან მუშაობის აქტუალურ პრობლემებზე ილაპარაკეს თბილისელ ჟურნალისტებმა, რეჟისორებმა, კინოდოკუმენტურისტებმა.

საქინფორმის კორესპონდენტმა, სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის შემოქმედ ახალგაზრდობასთან მუშაობის საკავშირო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს რეჟისორ ჯ. ფიროსმანს სთხოვა გამოეთქვა თავისი აზრი თბილისის უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა ნამუშევრების შესახებ.

— ახალგაზრდების ნამუშევრების პირველივე გაცნობა, — აღნიშნა მან, — სრულ უფლებას მაძლევს ვთქვათ, რომ მათი უმრავლესობის ავტორები პროფესიონალი, სერიოზული, ნიჭიერი შემოქმედნი არიან.

(საქინფორმი).

ხელშეკრულება რატიფიცირებულია

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის თავრობისა და ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის თავრობის ხელშეკრულება ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე საბჭოთა ჯარების შეზღუდული კონტინგენტის დროებითი ყოფნის პირობათა შესახებ.

5 აპრილი, 1980 წ.

დიადი იუბილეს შესახვედრად

დელი. დელში გაიმართა ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ინდოელი და საბჭოთა ახალგაზრდობის მეგობრობის მასობრივი მიტინგი.

ვ. ი. ლენინის საპელი სიმბოლოა მთელი მსოფლიოს ხალხთა ბრძოლაში მშვიდობიანი მომავლისათვის, სოციალური პროგრესისათვის, ექსპლოატაციისა და ჩაგვრისაგან მშრომელი ხალხის განთავისუფლებისათვის, განაცხადა სსრ კავშირის ელჩმა ინდოეთის ახალგაზრდობის ფედერაციის თავმჯდომარემ ა. ნ. სინხამ. ვ. ი. ლენინმა დიდი გავლენა მოახდინა რევოლუციური მოძრაობის განვითარებასა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ინდოელი ხალხის ბრძოლაზე. დღეს ლენინის მოძღვრება კვლავ ეფექტიანი მოქმედების სახელმძღვანელოა ინდოეთის მილიონობით ახალგაზრდისათვის, ხაზგასმით აღნიშნა მან.

პრაღა. ჩეხოსლოვაკიის ქ. ი. ლენინის სახელობის მანქანათაშენებელი გაერთიანების „შკოდა-პლზენის“ მრავალათასიანმა კოლექტივმა იკისრა გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი ლენინის იუბილეს და საბჭოთა არმიის მიერ ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების 35-ე წლისთავის აღსანიშნავად. ამ ვალდებულებათა მიხედვით მიმდინარე წელს კოლექტივი ვადამდე შეასრულებს სსრ კავშირის მრავალრიცხოვან შეკვეთებს, რომელიც გაერთიანების უდიდესი საზღვარგარეთელი პარტნიორია, ეკონომიკის გაძლიერებით დაუმზადებს ჩეხოსლოვაკიის უმნიშვნელოვანეს მშენებლობებს, მოწყობილობის დიდ პარტიებს. ვალდებულებების დიდმნიშვნელოვანი ნაწილია მუშათა ტექნიკური შემოქმედების განვითარება. რაციონალიზატორული წინადადებების რეალიზაციის გზით დასახულია მიაღწიონ 50 მილიონი კრონის ეკონომიკური ეფექტს. ქარხნის მთელი კოლექტივი მიიღებს მონაწილეობას ლენინურ შაბათობაში.

ბამაკო. მალში საზეიმო საერთო-სახალხო ხასიათს მიიღებს ჩვენი ეპოქის უდიდესი მოაზროვნის ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის დღესასწაული, განაცხადა აქ გამართულ პრესკონფერენციაზე მალიელი ხალხის დემოკრატიული კავშირის პარტიის ცენტრალური აღმასრულებელი ბიუროს წევრმა, მდივანმა პოლიტიკურ საკითხებში ს. ყულიბალიმ.

ამ დღესასწაულის მომზადება ეროვნული კომისიის გადაწყვეტილებით ქვეყანაში გაიმართება საზოგადოებრიობის მრავალრიცხოვანი საზეიმო კრებები, ნაჩვენები იქნება მხატვრული და დოკუმენტური ფილმები, მოეწყობა ფოტოგამოფენები, ლექციები, საუბრები ვ. ი. ლენინის ცხოვრების შესახებ.

მალიელი ხალხი სიხარულით ეერთდება ვ. ი. ლენინის იუბილეს დღესასწაულს, რომლის სახელი და საქმეები ქვეყნად სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს, ხაზგასმით აღნიშნა ს. ყულიბალიმ.

პრეზიდენტის სსოვნის პატივსაცემად

ჰანოი, 4 აპრილი. დღეს ვიეტნამი უკანასკნელად გამოეთხოვა ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტს ტონ დიკ თხანგს.

დილის 8 საათზე ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლე ზუანმა, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელ მა ნგუენ ჰიუ თხომ, ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული კრების მუდმივ კომიტეტის თავმჯდომარემ ჩონგ ტინმა, ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრმა ფამ ვან დონგმა, პარტიისა და სახელმწიფოს სხვა ხელმძღვანელებმა გამოასვენეს პრეზიდენტის კუბო და დადგეს საარტილერიო ქვემეხის ლაფეტზე. ათასობით მგლოვიარე ადამიანი გაირინდა.

შემდეგ სამგლოვიარო პროცესია გაემართა დაღუპული გმირი მებრძოლების სასაფლაოზე, სადაც დაკრძალეს ტონ დიკ თხანგი.

დანიის კომპარტიის მორიგი ყრილობა

კოპენჰაგენი, 4 აპრილი. დანიის დედაქალაქის მუშათა გარეუბანში გაიხსნა დანიის კომუნისტური პარტიის მორიგი 26-ე ყრილობა. მასში მონაწილეობს 1000-მდე დელეგატი, პარტიის ვეტერანები, პროგრესულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, აგრეთვე საზღვარგარეთელი სტუმრები — 20-ზე მეტი მოძმე პარტიის წარმოგზავნილები. ისინი გულთბილად მიესალმნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციას, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე გ. ფ. სიზოვი.

ყრილობაზე დანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება გააკეთა პარტიის თავმჯდომარემ ი. ენსენმა.

სალვადორის ამბები

სან-ხოსე, 4 აპრილი. სალვადორის მმართველმა ხუნტამ კიდევ ერთ თვეს გააგრძელა მარტში შემოღებული საალყო წესები. გაუქმებულია სიტყვისა და კრებების თავისუფლება, პიროვნებებისა და ბინების ხელშეუხებლობა, სხვა კონსტიტუციური გარანტიები.

შეერთებული შტატების მიერ შეიარაღებული რეაქციული მხედრობის და ულტრამემარჯვენე ტერორისტული დაჯგუფებანი საალყო წესების ნიმბით აძლიერებენ სისხლიან ტერორს ქვეყნის ხალხის მასების წინააღმდეგ. ხუნტის განკარგულებით ტანკებითა და ჯავშანტრანსპორტიორებით გაძლიერებულმა ჯარის ნაწილებმა დაიკავეს ყველა ქალაქი. პოლიციელთა პატრულები ფაშისტური ბანდების დახმარებით ყველგან აწყობენ ჩხრეკა-დაპატიმრებას, ადგილზე ხოცავენ უიარაღო ადამიანებს. უკანასკნელი 24 საათის განმავლობაში მემარჯვენეთა ტერორმა კიდევ 11 კაცი იმსხვერპლა. გასულ თვეში სულ 900-ზე მეტი პატრიოტი დაიღუპა.

სამხედროებისა და პოლიციის სადამსჯელო ოპერაციებს ჰარიდან ყოორდინაციას უწევენ ვერტმფრინავები, რომლებიც ხუნტას შეერთებულმა შტატებმა მიაწოდა.

სისხლიანი ტერორი, შიმშილი და სიღატაკე იწვევს იმას, რომ სალვადორელები მასობრივად გარბიან მეზობელ ჰონდურასში. მარტო მიმდინარე წლის დამდეგიდან ქვეყანა დატოვა 100 ათასზე მეტმა კაცმა.

ბრაზილიური კალეიდოსკოპი



ქალაქი სანტუსი ბრაზილიის სამხრეთ-აღმოსავლეთში, სან-პაულუს შტატში მდებარეობს. მის ნავსადგურში რეგულარულად შედიან საბჭოთა გემები. ზემოთ სურათზე აღბეჭდილია სანტუსის ძველი და ახალი არქიტექტურა; პერნამბუკუს შტატის დედაქალაქ, კურორტ რეისიფში პირდაპირ გზებზე და პლაჟებზე იყიდება ქოქოსის კაკლები, რომლის გამაგრილებელი წვენი წყურვილს მომკვლელია (შუა სურათი); ჩრდილო-აღმოსავლეთ შტატებში ხშირია გვალვა. აქაურებისათვის წყალს ოქროს ფასი აქვს. სერის შტატის გზებზე ხშირად შეხვდებით პატარა წყლის მზიდავებს.

საკადესის ფოტოქრონიკა.

სან-პაულელი „აიბოლიტები“

ამ კლინიკას მეტად უჩვეულო პაციენტები ჰყავს: იაგუარები, ლომები, ვეფხვები, ნიანგები, გველები, კუები. ისინი სან-პაულოს ზოოპარკიდან მოიყვანეს, მაგრამ ბრაზილიის არცსხვა ქალაქებიდან აკლიათ პაციენტები აქაური ექიმ-აიბოლიტებს.

ბევრი ხალხი იყრის თავს იაგუარის გალიასთან. დამთვალიერებელთა ყურადღებას იპყრობს მბზინავი ეშვები. ზარშან ცხოველს რამდენიმე კბილი მოტყდა და შიმშილით სიკვდილი ელოდა. ოდესღაც საშინელი მტაცებლის საშველად დანტისტი პ. ფორტისი მოვიდა. დაამზადეს ფოლადის ეშვები და ექიმმა დაზარალებულს კბილები ჩაუდგა.

არანაკლებ ფაქიზი მუშაობა დასჭირდა უზარმაზარ კუს ბაკის აღდგენას, რომელიც „წინდაუხედაობით“ ნიანგის ხახაში მოხვდა. ცხოველს ბაკანი სპეციალური წებოთი დაუწებეს და ახლა იგი თავს სავსებით ჯანმრთელად გრძნობს და არაფრით არ განსხვავდება სხვა კუებისაგან.

ზოოპარკის ვეტერინარულ სამკურნალოში დაკულია ბევრი სნეულებას, ზოგჯერ კი სიკვდილს გადარჩენილი მხეცის ავადმყოფობის ისტორია. აქ ჰყოლიათ კუმეთ დაავადებული ლომები, ფილტვების ანთებიანი, სტომატიტიანი გველები... ზოოპარკის ერთ-ერთმა ვეტერინარმა გვითხრა, ცხოველთა ჯანმრთელობის მდგომარეობის განსაზღვრა ძალიან გვიჭირს, განსაკუთრებით ზანტებისა. კიდევ უფრო გვიჭირს „შევაგონოთ“ მათ მკურნალობის კურსის გავლა, უფრო ხშირად ექიმები იძულებული ხდებიან გაკოჭონ პაციენტები, განსაკუთრებით მძვინვარენი კი დააძინონ სპეციალური საანესტეზიო საშუალებებით.

ბ. პეტროვი.

ჩეხავენ ამაზონკის ჯუნგლს

ელექტროხერხის წივილმა, ცულის კაფუნმა, ბულდოზერებისა და ტრაქტორების მოხლეტების ორჭიალმა დაარღვია ამაზონკის ჯუნგლის საუკუნოვანი დუმილი. ტყის სიღრმიდან ხან აქ, ხან იქ ზეციისაკენ მიიწევს კვამლის ბოლქვები. წვავენ ჯუნგლს, მის ადგილზე იქმნება ახოები, საძოვრები, ანდა უქმად რჩება მზით გადახრეული და ქარების სანანარო უდაბური ადგილები.

მდინარე ამაზონკის გასწვრივ ჯუნგლის მტაცებლურმა ჩეხვამ უკანასკნელ წლებში ისეთ საშიშ მასშტაბს მიაღწია, რომ ამაოდ როდი ჩაფიქრა მრავალი ქვეყნის მეცნიერები, მათ გაფრთხილეს რომ, თუ ამაზონკის ტყის მასივები ყველა ასეთი ტემპით კაფეს, მარტო ლათინური ამერიკის კონტინენტზე კი არა, მთელ მსოფლიოში დაირღვევაო ეკოლოგიური წონასწორობა. ატმოსფეროში ანგარდის შემცველობა მკვეთრად შემცირდება, საშუალო წლიური ტემპერატურა აიწევს, რაც გაუთვალისწინებელ შედეგებამდე მივიყვანს.

ბრაზილიაში შექმნილმა ეკოლოგიური ბალანსის დაცვის კომიტეტმა, რომელშიც შეიდნენ ცნობილი მეცნიერები, პროტესტი გამოთქვა ეროვნული და მრავალეროვნული კორპორაციების მიერ ტყეების განადგურების წინააღმდეგ.

ბრაზილიელები აღაშფოთა ამერიკელი მულტიმილიონერის დ. ლიუდვიგის საქმიანობამ. მან შეიძინა 405 ჰექტარი ამაზონკის ტყე და იაპონიიდან აქ გადმოიტანა თავისი ქალაღლის ქარხანა. მარკვე მრეწველმა საქმე სწრაფად დაიყენა ფეხზე. მის კუთვნილ ტერიტორიაზე უკვე განადგურებულია 100 ჰექტარი ძვირფასი ჯიშის ტყე.

ბრაზილიის საზოგადოებრიობა აკრიტიკებს ჯუნგლის ათვისებისა და, ნაწილობრივ აღმოსავლეთ-დასავლეთის შტატების დამაკავშირებელ ტრანსამაზონკის მაგისტრალის მშენებლობის პროექტებს. გზის გამყვანთ კვალდაკვალ მისდევენ ადგილობრივი მემამულენი. ისინი იქ აწყობენ თავიანთ მამულებს,

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სასურსათო და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის წარმომადგენლებმა, რომლებმაც ამაზონკის ხეობა დაათვალიერეს, აღნიშნეს, რომ ბრაზილიაში დღემდე არ შეიმუშავებიათ ტყის სიმდიდრეთა გონივრული იქსპლოატაციის მეთოდები, რომლებიც ხელს შეიწყობდა ტყის აღდგენას.

ვ. პეტროვი.

ოპოზიცია მოითხოვს

ანტანანარივუ, 4 აპრილი. კომორის კუნძულებზე ძლიერდება ოპოზიცია აჰმედ აბდალას რეჟიმისადმი. ქვეყანაში მწვავდება პოლიტიკური კრიზისი, წერს მადაგასკარის ყოველკვირეული „აქტუელი“.

უკანასკნელი ორი თვის მანძილზე ნდოეთის ოკეანის ამ პატარა კუნძულოვან სახელმწიფოში მთელი რიგი გაფიცვები მოეწყო. თვეზე მეტია შეწყვეტილია მეცადინეობა დიდაქალაქის სასწავლო დაწესებულებებში. მოსწავლეებს მხარი დაუჭირეს მასწავლებლებმაც. გამართულ მიტინგზე გაფიცვის მონაწილეებმა მოითხოვეს დემოკრატიული თავისუფლებანი, მათ შორის პროფკავშირის შექმნის უფლება, შრომის პირობების გაუმჯობესება. გაფიცულთა გასარეკად მთავრობამ გაგზავნა ჯარის ქვეგანყოფილება. დაჰპატიმრეს ბევრი აქტივისტი.

როგორც ყოველკვირეული აღნიშნავს, აბდალა მთავრობის პოლიტიკით უკმაყოფილებას გამოხატავს კუნძულების მოსახლეობის სულ უფრო ფართო ფენები, თავის მოთხოვნებს ოპოზიცია აყალიბებს ბიულეტენის „ხალხია ხმის“ ფურცლებზე.

აჰმედ აბდალა ქვეყნის ხელისუფლებას სთავაზობს ჩაოდგა სახელმწიფო გადატრიალებისა და ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტის ალი სოალიხის მკვლელობის შედეგად, რომელიც ჩაიდინეს ყიჩოელმა დაქირავებულებმა პროფესიონალი მკვლელის, დასავლეთის სპეციალური სამსახურების აგენტის ბობ დენარის ხელმძღვანელობით.

კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ

ნიუ-იორკი, 4 აპრილი. ამერიკის შეერთებული შტატების რეაქციული ხელისუფალნი ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ პროგრესული ძალების წარმომადგენლებ ა გადაუჭრელად ეგზეკუტორ გზა ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებში. ამის დადასტურებაა ის, რომ ოჰაიოს შტატის ხელისუფლებმა უარი თქვეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის პოსტებზე კანდიდატებად მიმდინარე წლის არჩევნებში რეგისტრაციაში გაეტარებინათ ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი გ. ჰოლი და რასიზმის წინააღმდეგ აქტიური მებრძოლი, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე ა. დევისი. ამავე დროს კომუნისტს რ. ნეიგინს წარმოდგენ ამ შტატისაგან ამერიკის შეერთებული შტატების სენატში კენჭისყრის უფლება.

ასეთი გადაწყვეტილება მიღებულია იმის მიუხედავად, რომ კომუნისტური პარტიის კანდიდატთა მხარდასაჭერად პეტიციას ხელი მოაწერა 10 ათასმა კაცმა— ერთიორად მეტმა, ვიდრე საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობისათვის ამ შტატის კანონებით არის საჭირო. თავიანთი უკანონო მოქმედების კასამართლებლად მათ მოიმიზეზეს რაღაც „ტექნიკური ფორმალობანი“ და ის, თითქოს კომუნისტთა ხელმოწერიანი საკმარისი დოკუმენტები არ ყოფილიყოს.

ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტურმა პარტიამ მტკიცე პროტესტი განაცხადა ამ დაუწებებს და ახლა იგი თავს სავსებით ჯანმრთელად გრძნობს და არაფრით არ განსხვავდება სხვა კუებისაგან.

ზოოპარკის ვეტერინარულ სამკურნალოში დაკულია ბევრი სნეულებას, ზოგჯერ კი სიკვდილს გადარჩენილი მხეცის ავადმყოფობის ისტორია. აქ ჰყოლიათ კუმეთ დაავადებული ლომები, ფილტვების ანთებიანი, სტომატიტიანი გველები... ზოოპარკის ერთ-ერთმა ვეტერინარმა გვითხრა, ცხოველთა ჯანმრთელობის მდგომარეობის განსაზღვრა ძალიან გვიჭირს, „განსაკუთრებით ზანტებისა. კიდევ უფრო გვიჭირს „შევაგონოთ“ მათ მკურნალობის კურსის გავლა, უფრო ხშირად ექიმები იძულებული ხდებიან გაკოჭონ პაციენტები, განსაკუთრებით მძვინვარენი კი დააძინონ სპეციალური საანესტეზიო საშუალებებით.

ბ. პეტროვი.

ცდილობენ გაამართლონ ამერიკის პოლიტიკა

პარიზი, 4 აპრილი. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ს. ვენსმა, რომელიც გამოვიდა საფრანგეთის ტელევიზიის მეორე პროგრამით, უპასუხა ფრანგ ჟურნალისტთა მთელ რიგ კითხვებზე.

ვენსს, კერძოდ, ჰკითხეს, რას ფიქრობს იმის გამო, რომ ხელისუფლების სათავეში პრეზიდენტ ჯ. კარტერის ყოფნის სამ წელიწადზე მეტი ხნის მანძილზე მისმა ადმინისტრაციამ საქმე იქამდე მიიყვანა, რომ დაეცა ამერიკის შეერთებული შტატების პრესტიჟი და მისდამი ნდობა. ამასთან ხაზი გაუსვეს, რომ ბევრ ფრანგს კარგად ვერ გაუგია ამერიკის პოლიტიკის ლოგიკა და კითხულობს, თანამიმდევრულია იგი თუ არ საერთოდ.

სახელმწიფო მდივანმა უკეთესი ვერაფერი გამონახა, რომ ადმინისტრაციის დამსახურებად მიეჩნია საომარი მზადება, რომელსაც იგი ეწევა. ჩვენ, თქვა მან, შევიდექით ჩვენი შეიარაღებული ძალების სამივე ელემენტს: სტრატეგიული ძალების, სამარი მოქმედების, ასპარეზის ძალებისა და ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების გადიდების, განმტკიცებისა და მოდერნიზაციის პროგრამის განხორციელებას. ჩვენ გავადიდეთ ხარჯები შეიარაღებული ძალების სამივე ამ კომპონენტისათვის.

შემდეგ ვენსს ჰკითხეს, როგორ შეუძლია აუკრძალოს სპორტსმენებს ოლიმპიური ასპარეზობაში მონაწილეობა და ამავე დროს მარდიდში განიხილოს ადამიანის უფლებათა საკითხი, ხომ არ არის ამაში თვალთმაქცობა და წინააღმდეგობანი. თავი აარიდა რა პირდაპირ პასუხს, სახელმწიფო მდივანმა გაიმეორა პრეზიდენტ ჯ. კარტერის ცნობილი განცხადება, რომლის არსი ის არის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციას განზრახული აქვს არ დაუშვას ამერიკელ ათლეტთა მონაწილეობა ოლიმპიადაში.

ვენსს აგრეთვე ჰკითხეს, აწვდის თუ არა ამერიკის შეერთებული შტატები იარაღს დაქირავებულებს, რომლებიც პაკისტანის ტერიტორიიდან ავღანეთში შეიდნენ. სახელმწიფო მდივანმა ყოვლისაერად სცადა თავი აერიდებინა პასუხისათვის და ბოლოს განაცხადა: „მე ვამტკიცებენ არ გიპასუხოთ ამ კითხვაზე“.

ადგილობრივ წრეებში ამ პოზიციას აფასებენ როგორც იმის ფაქტობრივ აღიარებას, რომ შეერთებული შტატები კვლავინდებურად უწევს სამხედრო დახმარებას კონტრრევოლუციურ შეიარაღებულ შენაერთებს, რომლებიც პაკისტანის ტერიტორიიდან მოქმედებენ ავღანეთის კანონიერი მთავრობის წინააღმდეგ.

ბრაზილიელი ქალების ყოველი მხრიდან

4 აპრილი

● **პრაღა.** აქ დაიწყო ორდღიანი საერთო-სახელმწიფო სემინარი, რომელიც ეძღვნება ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავსა და ფაშისტი დამპყრობლებისგან ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების 35-ე წლისთავს. სემინარში მონაწილეობენ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ახალგაზრდობის სოციალისტური კავშირის, ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ანტიფაშისტ მებრძოლთა კავშირის ლექტორები, პროპაგანდისტები და აქტივისტები.

● **ვენა.** ქალაქ დორნბირნში თავხედური პროვოკაცია მოაწყვეს ავსტრიელმა ნეოფაშისტებმა. ჰიტლერელი მოიერშეების მაგალითისამებრ ახალმოვლენილი ნაცისტები ძალლებითა და ხელკეტებით თავს დაესხნენ ახალგაზრდა ანტიფაშისტთა ჯგუფს, რომლებიც პროტესტს აცხადებდნენ „მიხაკისფერთა“ მორიგი თავყრილობის წინააღმდეგ, რომელზეც წაკითხული ბოლოდროინდელ მოწოდებებით გამოვიდა ნეონაცისტური ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის მეთაური ბურგერი. დემოკრატიული საზოგადოებრიობის პროტესტების მიუხედავად, იგი მოგზაურობს ქვეყანაში, როგორც კანდიდატი ფედერალური პრეზიდენტის პოსტზე.

სულ სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულების ადამიანები მოითხოვენ, რომ პურგერს აეკრძალოს პრეზიდენტის არჩევნებში კენჭისყრა.

● **ტოკიო.** იაპონიის მმართველმა ლიბერალურ-დემოკრატიულმა პარტიამ პარლამენტის ქვედა პალატაში დაიარსა უშიშროების საკითხთა სპეციალური კომისია. პარლამენტის ახალი ორგანოს საქმიანობაში შედის იაპონიაამერიკის სამხედრო კავშირის განმტკიცებისა და მისი მოქმედების ფარგლების გაფართოების, იაპონიის არმიის ძლიერების გადიდების საკითხების შესწავლა, არმიისა, რომელიც ხელახლა შეიქმნა ქვეყნის ახლანდელი კონსტიტუციის სამშვიდობო დებულებების წინააღმდეგ, აგრეთვე ბირთვული იარაღისა და შეიარაღების ექსპორტის პოლიტიკის გადასინჯვა. იაპონიის დემოკრატიულმა საზოგადოებრიობამ კონსერვატორთა მთავრობის ახალი აქციი შეაფასა როგორც კიდევ ერთი ნაბიჯი ქვეყნის შემდგომი მილიტარიზაციის მიმართულებით. პროგრესული ძალები, პირველ რიგში კომპარტია, გამოვდნენ მოწოდებით გაშალონ იაპონიაში ფართო ომის საწინააღმდეგო მოძრაობა.

ჟ. ხაუის განცხადება

ბეირუთი, 4 აპრილი. სადათის მოდალატეობამ, რომელმაც პირი შეკრა სიონიზმთან და ამერიკის იმპერიალიზმთან, საშინი ვითარება შექმნა არაბულ სამყაროში, განაცხადა ლიბანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ჟ. ხაუიმ სადათისადმი ოპოზიციური ეგვიპტის პატრიოტული ფრონტის გენერალურ მდივანთან საად ედინ აშ-შაზლისთან შეხვედრის დროს. გარკვეული წრეები, თქვა ჟ. ხაუიმ, ცდილობენ განხეთქილება შეიტანონ სადათის რეჟიმის მოღალატური კურსის წინააღმდეგ მებრძოლი არაბი პატრიოტების რიგებში. ლიბანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა არაბთა ეროვნულ ძალებს მოუწოდა ყოველმხრივ განამტკიცონ ერთიანობა არაბთა ბრძოლის საერთო მიზნების გამარჯვებისათვის.

იმავე დღეს ეგვიპტის პატრიოტული ფრონტის დელეგაცია შეხვდა ლიბანის ეროვნულ-პატრიოტული ძალების ცენტრალური პოლიტიკური საბჭოს წევრებს. მხარეებმა განიხილეს იმპერიალიზმისა და სიონიზმის შეთქმულების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის მიზნით, აგრეთვე კემპ-დევიდის კაპიტულანტური შეთანხმების ჩაფიშვნის მიზნით მოქმედების კოორდინაციის საკითხები. პრესისათვის მიცემულ განცხადებაში ეგვიპტის პატრიოტული ფრონტის ხელმძღვანელმა აღნიშნა მხარეთა თვალსაზრისის სრული დამთხვევა ყველა განხილულ საკითხზე.

ი. განდის აზრით

დელი, როგორც ინდოეთის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, ინდოეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ინსტიტუტის სტუდენტებთან შეხვედრის დროს ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ განაცხადა: აღიარებენ საბჭოთა კავშირის როლი უნდა განვიხილოთ იმ კონტექსტში, რომ ხდება შეერთებული შტატებისა და ჩინეთის სულ უფრო მეტი დაახლოება. მოკლე ხანში ამერიკის შეერთებული შტატები ჩინეთის მეგობარი გახდა, და სსრ კავშირი ეშვის თვალით უყურებს მათს ერთობლივ მოქმედებას. ასეთ ვითარებაში საბჭოთა კავშირი იძულებული გახდა მიეღო შესაბამისი ღონისძიებანი, საბჭოთა კავშირი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ალაყაში არ მოაქცევენ. მაშინ იგი გადაასინჯავს თავის ყოფნას ავღანეთში.

ინდოეთი, ხაზი გაუსვა განდიმ, ყოველ ღონეს ხმარობს, რათა, საბჭოთა კავშირთან თავისი მეგობრული ურთიერთობის მეშვეობით მიაღწიოს ავღანეთის საკითხის გადაწყვეტას, მთავარი ამოცანა ის არის, რომ განმოეხტოს ვითარება რეგიონში და „ცივი ომი“ არ გადაიქცეს „ცხელ ომად“. ბევრ ქვეყანას ავღანეთის საკითხი არ ეხება, მაგრამ ინდოეთისათვის დაძაბულობის ყოველი ესკალაცია სერიოზულ საფრთხეს მოასწავებს.

ნიუ-იორკის ცალკეული ამბები

ნიუ-იორკის ცათამბჯენში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინაში უშიშროების საბჭოს სხდომებზე ამ დღეებში ცხარე კამათი გაჩაღდა პალესტინის საკითხზე. იგი მოეწყო პალესტინელი ხალხის ხელშეწყობა უფლებათა განხორციელების კომიტეტის ინიციატივით. დისკუსიის ყურადღების ცენტრში იყო ტრაგიკული ბედი ასათასობით პალესტინელისა, რომლებიც ისრაელმა აერესორებდა ანდედენეს მშობლიური ადგილებიდან და „დაბალ რასად“ გამოაცხადეს. ორ მილიონამდე პალესტინელი განდევნილია სამშობლოდან, ხოლო 1700 ათასი ისრაელის ოკუპაციის ზონაშია, სადაც მათი ხვედრია სოციალური უფლებრივობისა და რასობრივი დისკრიმინაციის პირობებში ცხოვრება. შემთხვევით როდი დაამო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ სიონიზმი, როგორც რასიზმისა და რასობრივი დისკრიმინაციის ფორმა.

ზედიზედ ადიან საბჭოს მაღალ ტრიბუნაზე პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციისა და ათობით მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს სრულუფლებიანი წარმომადგენელნი. ისინი ხ

შენდება

ენინვალის [illegible]

ენინვალის ჰიდროტექნიკური კომპლექსის მშენებლობის უფროსის ავთანდილ ჩალაძის კაბინეტი ფრონტის გენერალურ შტაბს მოგაგონებთ. ყველა გზა კი არა, ყველა ბილიკიც აქეთ მოდის და მშენებლობის მაჯისცემასაც ყველაზე უკეთ აქ იგრძნობთ. კაბინეტში წუთითაც არ წყდება ტელეფონის წკრიალი. რეკავენ უბნებიდან, გვირაბებიდან, კაშხლიდან, შახტიდან, პასუხს ითხოვენ პარტიის რაიონული კომიტეტიდან, ტრესტიდან, რეკავს ბრიგადირი, უბნის უფროსი, მუშა, მემანქანე, რეკავს ინჟინერი, ითხოვენ დახმარებას, განმარტებას, სამშენებლო მასალებს, მანქანებს...

პასუხი კი ასეთია: მრსმის, შეიძლება, იქნება. არ შეიძლება. ხუთ დღეში უნდა გაკეთდეს! გასაგებია? შეაჩერეთ!

და ყველასათვის ყველაფერი გასაგები ხდება.

ავთანდილ ჩალაძის მოსვლას მშენებლობაზე დაბრკოლებათა დაძლევის რეალური გზების ძიება და მიგნება, შრომის ორგანიზაციის სფეროძალიანი სრულყოფა, შრომის მორალური და მატერიალური წახალისების ფორმების მასობრივი დანერგვა მოჰყვა. და საქმეც წინ წავიდა. შემოქმედებითი, ნაყოფიერი შრომით შეეგება ჰიდროკომპლექსი მეათე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს. 1980 წლის 1 იანვრისათვის სამშენებლო სამმართველომ (პირველად მას შემდეგ, რაც კომპლექსი შენდება) ქვეყანას სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა 148 პროცენტით შესრულება უპატაჟა, ერთი მუშის საშუალო ხელფასმა 300 მანეთს მიაღწია.

მიმდინარე წლის 25 თებერვალს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 59-ე წლისთავზე, კაშხლის ტანში მშენებლებმა საზეიმო ვითარებაში ჩაყარეს მეორმოლიონე კუბური მეტრი მიწა.

მომავალი ენინვალის წყალსაცავის სამშენებლო უბანი ჩასაბჭის ღიიდან — 1971 წლის გაზაფხულიდან დღემდე ასე გამოიყურება: უწინდელ პატარა სოფელ ენინვალთან, მთიულეთისა და ხევსურეთის არაგვის მყუდრო შესაყართან 45 მეტრი სიმაღლის კაშხალი აღმართულა, რომელიც კიდევ 55 მეტრით ამაღლდება. 1980 წლის 2 თვის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა 144,1 პროცენტით არის შესრულებული, გაყვანილია 5 კრძალ კილომეტრზე მეტი გვირაბი, გასაყვანია კიდევ 3 კილომეტრი და 600 მეტრი. აშენებულია 44 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, დაბაში უკვე ცხოვრობს 3000 კაცი; გაყვანილია 60 კილომეტრი ახალი სამანქანო გზა ფშავ-ხევსურეთისა და მთიულეთის მიმართულებით, გადებულია 6 ხიდი.

ბ. წვერაძე.

სანამ წყლით

დაიფარება

ისტორიული ფხოვი თავისი გმირული წარსულითა და არქეოლოგიური ძეგლებით დიდი ხანია ანდამატივით იზიდავს მეცნიერებსა და მკვლევრებს. მაგრამ უკანასკნელ ათ წელიწადში, მას შემდეგ, „რაც აქ, ორი არაგვის თავშესაყართან ენინვალის ჰიდროტექნიკური კომპლექსის აგება დაიწყო, არქეოლოგიური საძიებლები უფრო ფართოდ და ინტენსიურად გაიშალა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის არქეოლოგები უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის, გვიანანტიკური და შუა საუკუნეების არქეოლოგიის სპეციალისტის რამინ რამიშვილის ხელმძღვანელობით ინთუზიაზმით შეუდგნენ ქართველი ერის წარსულის კვლევა-ძიებას.

სურათებზე: ნაქალაქარი „ენინვალი" — მოცეკვავე ქალის გამოსახულება მოჭიქულ ჯამზე (XII-XIII სს); ნაქალაქარი „ენინვალი" — ბრინჯაოს ჭრაქი; ენინვალის სამაროვანი — ოქროს სამკაულები (II-III საუკუნეები).

რ. ჩიქოვანისა და ვ. ახტახოვის ფოტოები.

შუა საუკუნეების ფეოდალური საქართველოს ხალხმრავალი და ძლიერი ციხე-ქალაქი „ენინვალი" — ერთ დროს დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობის ცენტრი, ვაჭართა და მეთუნეთა ქალაქი, სამხედრო-სტრატეგიული დასაყრდენი, და ქართველ მეფეთა საამედო თავშესაფარი — ზოგიერთთა ვარაუდით ერთხანს სულმნათი შოთა რუსთაველის სპასტრონოც ყოფილა. მას დიდძალი საინტერესო და საგულისხმო მასალის მიცემა შეუძლია საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის.

არქეოლოგიური სამუშაოების დაწყებისას ექსპედიცია მცირერიცხოვანი იყო, სულ რამდენიმე არქეოლოგიური უბანი ჰქონდა. სამუშაოთა მოცულობის ზრდასთან ერთად, შემდგომ და შემდგომ წლებში ექსპედიცია უფრო მრავალრიცხოვანი გახდა. ენინვალის სიძველეთა აღმოჩენა-კვლევაში არქეოლოგებთან ერთად ჩაებნენ ეთნოგრაფები, ნუმიზმატები, ენათმეცნიერები, არქიტექტორები, ხელოვნებათმცოდნეები.

ექსპედიციამ წინასწარ დაგეგმილ ძიებებს სწავლობს, მაგრამ არცთუ იშვიათად, მიწის სამუშაოების შესრულებისას როგორც მომავალი ენინვალის ზღვის ზონაში, ისე მთელ არაგვის ხეობაში აღმოჩნდება ხოლმე სრულიად უცნობი ძეგლი და, რა თქმა უნდა, არქეოლოგები მათ გულგრილად გვერდს ვერ უვლიან.

წინა წლებს აღმოჩენათა სიუხვით არც მიმდინარე წელი ჩამორჩება. პირველ ორ თვეში გამოვლენილ ძეგლთა შორის საყურადღებოა ხერთვისის ადრეანტიკური ხანის სამაროვანი, ნაქალაქარის გარეუბანი წარმართული სამლოცველოებით (რუსთაველის ეპოქა) და გვიან შუასაუკუნეთა ნასოფლარი ახალი ენინვალის თავზე.

ხერთვისში ადრეანტიკური ხანის სამარხთა შესწავლისას არქეოლოგებმა აღმოაჩინეს 25 საუკუნის წინანდელი ნივთ-სამკაული, მთიულეთის არაგვის ხეობაში კი მიაკვლიეს უძველეს ნასოფლარს და ვარაუდობენ, რომ შესაძლოა იგი ძველი წელთაღრიცხვის მეხუთე ათასწლეულს მიეკუთვნებოდეს.

რაც შეეხება ნაქალაქარის გარეუბანს, სადაც ამჟამად მიმდინარეობს არქეოლოგიური კვლევა-ძიება, იგი საყურადღებოა იმითაც, რომ საცხოვრებელ სახლებში ჩნდება ფარულად მოწყობილი წარმართული საკურთხეველები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ უბანში უნდა ეცხოვრა ანტიქრისტიანულად განწყობილ, წარმართულ მოსახლეობას, რომელიც ალბათ, მთიდან უნდა ყოფილიყო ჩამოსახლებული. საგულისხმოა, რომ ქართულ არქეოლოგიაში ასეთი ფაქტი პირველად დასტურდება.

ვ. ხუციშვილი.

შეხვედრა 38

წლის შემდეგ

ახალი, 1980 წლის პირველი დღე იდგა. ყველა ოჯახში ჩვეული საახალწლო მაგიდა იყო გაწყობილი. ასე იყო მოსე ოთარაშვილის ოჯახშიც. ქარზე ქაფი გაისმა დიასახლისმა კარი გააღო. ზღურბლზე უცნობი მამაკაცი იდგა.

— მოსე ოთარაშვილი აქ ცხოვრობს? — შეკვეთილი მღელვარებით ეკითხა უცნობმა რუსულად და, როდესაც თანხმობა მიიღო, შინ შევიდა.

მოსე სტუმარს გამოეგება და... შეჩერდა. შუახნის მამაკაცი სიყვარულითა და ცრემლით სავსე თვალებით მისჩერებოდა და ხმის ამოღებას ვერ ახერხებდა. მეც თითქმის ჩურჩულით წარმოთქვა:

— მოსე, ძვირფასო! — და გულში ჩაიკრა.

ვინ უნდა იყოს? — ფიქრობდა მასპინძელი და დაკვირვებით შეჰყურებდა სტუმრის ჭაღარაშერეულ თმას, სახის სწორსა და კეთილშობილურ ნაკვთებს.

სტუმარი მიხვდა მასპინძლის დაბნეულობის მიზეზს და შეეკითხა:

— შჩორსელები... ვადიმი, გახსოვს?

— ვადიმი?

მოსე წამით გაირინდა, ბელორუსიის გაუვალი ჭაობები, პარტიზანები გაახსენდა. გაახსენდა თორმეტიოდე წლის ბიჭიც, ვრძელი ჯარისკაცული ფარაჯა რომ ეცვა და თავისზე ბევრად დიდი თოფი ეჭირა ხელში.

თორმეტიოდე წლის ბიჭი... ახლა კი ეს ხნიერი მამაკაცი?.. ნეტავ?

* * *

ჯარში ჯერ კიდევ ომის დაწყების წინ წავიდა მოსე. ომმა დასავლეთ ბელორუსიაში მოიესწრო. შემდეგ ტყვეობა, გაქცევა და შჩორსის სახელობის პარტიზანთა რაზმში ყოფნა. სწორედ აქ მოიყვანეს მაშინ პატარა ბიჭუნა — ბრესტის სადგურის რკინიგზის მილიციის უფროსის ანდრია ვორობიოვის ვაჟი ვადიმი. ბავშვს თავის ასაკისათვის შეუფერებლად სერიოზულად ეჭირა თავი. იგი მზვერავად აიყვანეს.



დრო, ადამიანი, მოვლენები

სიცოცხლე მთიგში

მთიელთა გადასახედი

დუშური ჩანახატები

სიჩუმე

უყვარს ლექსს...

თამანაარა ნაკადულივით მოჩქეფს ლექსი ჩვენი მთიდან. ასე იყო ოდითგან: წლები წლებს მისდევს, თაობები იცვლებიან, ლექსი კი ცოცხლობს, ცოცხლობს იქ, სადაც გულზვიადი ხევსურნი სახლობენ, ცოცხლობს ფშაფა და გულდამაყარში...

ზამთრის გრძელსა და სუსხიან ღამეებს ხალხური ლექსი და კეფა ათობს მთაში, პოეზიის მადლი მოსავს მთიელი კაცის ლხინსაც და ჭირსაც, ლექსია მისი ძმაც და მეგობარიც.

არსებობს თუ არა დრო და ასაკი მოლექსესათვის?

— არ არსებობს, — ჩვეული სიდინჯითა და სიდარბაისლით გვიპასუხებს შუაფხოველი მოლექსე დავით თვარელაშვილი. — ყოველი ასაკს თავისი სილამაზე აქვს, ისევე როგორც წლის ყოველ დროს...

დავით თვარელაშვილმა ვერაფერით გაიხსენა, როდის დაწერა პირველი ლექსი, ვიზეთის „კომფეხზმის ჭიათ" რედაქციაში კი პირველად წლევანდელი თებერვლის ერთ სუსხიან დღეს მოვიდა, მოვიდა და მოსწავლის რვეულში სუფთად გადაწერილი ლექსები მოიტანა.

ცხოვრების დიდი ქარტეხილი გამოუვლია ამ ლექსების ავტორს. სამამული ომში იგი თანასოფლელი ბიჭებთან ერთად ფრონტზე, ბრძოლის დიდი გზა განვლო, მცირე მიწაზეც იბრძოდა.

— ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის „მცირე მიწა" რომ წავიკითხე, — გვეუბნება დავითი, — გულშინდელივით განმიახლდა გარდასული დღეების მოგონება. მრისხანე ბრძოლები გვქონდა. მათი დავიწყება კრ შეიძლება.

არც დავიწყებია ის დღეები ფშაველ მოლექსეს. სამამული ომისა და ომში დაჩეხილი ბიჭების ხსოვნა ცოცხლობს დავით თვარელაშვილის ლექსებში.

1944 წელს ფრონტიდან გამოგზავნილი ლექსი წაგიკითხა დავითმა:

სალამი, მთებო მაღლებო,
ხევებო, მოჩხრიალეო,
სალამი შენცა, არაგვო,
ამაყად მოჰდინარეო.
ოხ, რა ძალიან დავსწუხდი,
ჩემო სამშობლო მხარეო!..

რამდენი გაჭირვება და სიძნელე გამოიარა ცხოვრების კრძელ გზაზე. ორწუწუნოდ კი ერთი დღეც არ უცხოვრია. სინათლისა და სიმართლის გამარჯვების რწმენა ახლდა მის გზა-სავალს. ასეა ახლაც. ამ რწმენამ შეაკვარა სიცოცხლე. ამ რწმენით ხედავს იგი სიცოცხლის სილამაზეს. ცხოვრებამ ასწავლა საკუთარ ფიქრებში ჩაორმავება. დაიბადა მისი ყველაზე ახალი ლექსიც-

ბუნება საკინძეს ხსნიდა,
გულ-მკერდის შესაკვრელებსა
და გადამოსლიდა ყვავილებს,
ზაფხულის დამამშვენებსა,
ყველას იხუტებს გულშია
და ყველას უწვდის ხელებსა.
იგი დედაა ყოვლისა,
არ არჩევს ავ-კარგობითა,
ეალერსება სუყველას
ერთის გულით და გრძნობითა.
სიზმარი არის სიცოცხლე,
ბუნება გვითამაშება.
ერთი დრო გვაქვს
სულდგმულთა,
ჩვენ ვიზოცებით, სხვა ჩნდება..;

— აქამდე რატომ არ მოგვიტანეთ თქვენი ლექსები? ჩაიცინა.

— შარშანდელმა ხალხური პოეზიის საღამოებმა გადამაწყვეტინა თქვენთან მოსვლა, თორემ ისე, სიჩუმე და ჩრდილი უყვარს ჩემს ლექსებს, ძმისწულო.

ნ. ველთაური.

ენერგეტიკა

ენერგეტიკა

ენერგეტიკა

ენერგეტიკა

ენერგეტიკა

###